მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N25

ქ. მარნეული 20.12.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ამირან გიორგაძე, მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, ნოდარ მთვარელიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, რიჩარდ გიგანი, ბესიკ გუჯეჯიანი, აკმამედ იმამკულიევი, ზურაბ ჭონიაშვილი, ნადირ გულიევი, დავით ხუციშვილი, ლევონ აკოპიანი, ტარიელ მამედოვი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, გეიდარ მუსაევი, აშრაფ ტუკანოვი, არსენ ახვერდიანი, როვშან ისკანდაროვი, აივაზ ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, ილხამ გასანოვი, მირკაზუმ იაგუბოვი, თორნიკე გოგლიძე, აზატ კარიმოვი, ადილ გურბანოვი, რაგიმ ასკეროვი.

არ ესწრებოდა: ზურაბ ფანგანი, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, რამინ ალახვერდიევი, ნიკოლოზ მუმლაძე, ჯეიხუნ ჩოიდაროვი.

სხდომას ესწრებოდა - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი ბესო ნიჯარაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გენდერულ საკითხებში ია ესებუა, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე ორხან ნაბიევი, მოქალაქე დაური ისმაილოვი.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI

2. ა.ა.ი.პ.. ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“–ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.
3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობებრივი რანგების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N61. 20.12.2017 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ა.ა.ი.პ.. ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“–ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N?. 20.12.2017 წ)

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ გივი გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 14 დეკემბრის N03/13869 წერილით შემოსული დოკუმენტაცია და ითხოვა თანხმობა, რათა ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების გათვალისწინებით, მოწონებული იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ შერჩეული პროექტები.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N117. 20.12.2017 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობებრივი რანგების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N62. 20.12.2017 წ)

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის ოცდამეხუთე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ამირან გიორგაძე